

მ წ უ მ ს ი

ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ყ ო ზ ი ლ ე ბ ა .

უმაღლესი ჯილდონი.

უმოწყალესად დაჯილდოებულ იქმნენ წმ. ანანს მესამე ხარისხის ორდენითა: ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ალექსანდრე ანანაევის ძე იაროსლავი; ქართლის ეპარქიაში: კარსის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ვასილ ლაგვინაძე; იმერეთის ეპარქიაში: სვირის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზი მისეილ მჭედლიძე; ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი იოსებ ჭეიშვილი; ითხვისის იოანე ნათლის-მცემლის ეკლესიის ბლადოჩინი მღვდელი იოსებ წყნეთელი; სუბუმის ეპარქიაში: სოფ. მოქვის მიძინების ეკლესიის მღვდელი იესე ჟორდანიას; სოფ. ჩელოვის ამალღების ეკლესიის მღვდელი ვასილ მკაცრია.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის უქვემდებარეობის მოხსენებითა, თანახმად უწმ. სინოდის განჩინებისა, ამა მაისის 15 დღესა უმოწყალესად ინება დაჯილდოება სასულიერო პირთა ქვემოთ მოხსენებული განსხვავებული ნიშნითა ეპარქიის უწყებაში სამსახურისათვის.

საქართველოს საეპისკოპოსოში: ა) წმ. ელადიმირის მგოთხე ხარისხის ორდენითა: ქალაქ ქუთაისის თავაზანტელის საკათედრო ტაძრის დეკანოზი მ. რაქვენ გიგაური; ზაკატალის დედათა ინსტიტუტის ეკლესიის დეკანოზი პეტრე კონჩუევი; ქალაქ მოზდოკის მიამნების ტაძრის დეკანოზი თეოდორ ორლოვი.

ბ) წმ. ანანის მგორე ხარისხის ორდენითა: თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ანტონ დობოტი სერატიმი.

განჩინება უწმიდესი სინოდისა.

7—27 აპრილს 1894 წელსა № 1023 სასულიერო პირთა დაჯილდოების შესახებ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის უქაზისა მებრ, უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინა ეპარქიის მღვდელთ-მთავრების, მოსკოვის სინოდის კანტორის და სასახლის სამღვდლოების გამგის წარმოდგინებანი მათდამი ჩაწმუნებული სასულიერო პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის. ბრძანებს: საფუძველსა ზედა მომხდარ მსჯელობათა უწ. სინოდმა განაწესა: წარმოდგენილ სიებსა შინა მოხსენებულნი სასულიერო პირნი იქმნენ დაჯილდოებულნი სიებში აღნიშნული ჯილდოებითა და მღვდელთ-მთავართა, მოსკოვის კანტორის და სასახლის სამღვდლოების გამგეთა საცნობლად დაჯილდოებულ პირთა სია დაიბეჭდოს «საეკლესიო უწყებაში».

საქართველოს საეპისკოპოსოში: ა) ქართლისა და კახეთის ეპარქიაში: დეკანოზობის ხარისხით — გორის მარკის წმ. გიორგის ეკლესიის მღვ. სიმონ ყაფშიძე; იმავე გუბერნიის და მარკის, ქაჭვას ცხაკელ მეფელის წყაროს ეკლესიის მღვ. ნიკოლოზ მკხევეთაძე; იმავე ეპარქიის, სიღნაღის მარკის მიწმანის თამარ ეკლესიის მღვ. დიმიტრი ბეგევი; იმავე გუბერნიის და მარკისა მშენაძის სამების ეკლესიის მღვდელი დიმიტრი ჩანაევი; გურია-მთიანეთის ეპარქიის, ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიის მღვ. გიორგი ბერიძე;

ბ) მკერდის ჯერითა, უწმიდესი სინოდისაგან ბრძებულითა: — თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი ბერ-მონაზონი გერმოგენი: ქართლის ეპარქიის,

თელავის მაზრის გრემის პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვ. დავით ლაკაპოვი; იმავე ეპარქიის, სოფლის მაზრისა შელანის სამების ეკლესიის მღვ. გიორგი ნათიძე; იმერეთის ეპარქიის, რაჭის მაზრის სოფელ ახმანის ეკლესიის მღვდელი იოსებ კობერიძე; იმავე ეპარქიისა, ქუთაისის მაზრის სოფელ ზეშა-ჭვიტის ეკლესიის მღვ. მოსე შავგულიძე; იმავე ეპარქიის და მაზრისა, სოფ. მათხვას ეკლესიის მღვ. იოანე მელიძე; ქალაქ ქუთაისის, მთავარ-ანგელოსის ეკლესიის მღვდელი ფილოზე ფხაკაძე; სუსუმის ეპარქიის, კოდორის მაზრის სოფ. ტახუგის ეკლესიის მღვ. თედორე ცხაკაძე; იმავე ეპარქიის და მაზრის სოფ. ილორის ეკლესიის მღვდელი ზოსიმე ხელაია.

ბ) კამილავით: ქართლ-კახეთის ეპარქიაში, გორის მაზრაში სოფ. კახეთის ეკლესიის მღვდელი ხამონ ინდუევი; იმავე ეპარქიის, დუშეთის მაზრის, საგურამოს თადეკის ეკლესიის მღვდელი ბესარიონ კანდელიაძე; იმავე ეპარქიის, თელავის მაზრის რჯიას თამის ეკლესიის მღვდელი გიორგი ფარეზიშვილი; იმავე ეპარქიის და მაზრისა სოფ. შალაურის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი დავით გოგიევი; იმერეთის ეპარქიის, შორაპნის მაზრის სოფლის საქარის ეკლესიის მღვდელი ლუკა კიპაშვილი; იმავე ეპარქიის, ქუთაისის მაზრის სოფელ დიდი ჯიხაშის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე ნენსაძე; იმავე ეპარქიის და მაზრისა სოფ. ჭოგნას ეკლესიის მღვდელი იოსებ კუბანიძე; იმავე ეპარქიის და მაზრის სოფელ სტარო-რპეტის ეკლესიის მღვდელი ლუკა ჩიჩუა; იმავე ეპარქიის და მაზრის სოფელ ფარცხანაუნის ეკლესიის მღვდელი გიორგი ფხაკაძე; ქალაქ ქუთაისის მწვანე-წყვილის მთავარ-ანგელოსის ეკლესიის მღვდელი დავით შელიძე; გურია-სამეგრელოს ეპარქიის სოფლის ბანძა-შაურკანის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ანტონ კველია; იმავე ეპარქიის სოფლის კოდორის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ ტოლორაია; იმავე ეპარქიის მთავარ-ანგელოსის ეკლესიის მღვდელი ოქროპირ კირია; იმავე ეპარქიის საგურამოს—ჭალადიდის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ისიდორე ბაბილუა; იმავე ეპარქიის ლეწურწყუმის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი დავით კუტელია; იმავე ეპარქიის სოფ. კეტილარის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ბესარიონ ჩაგანავა; იმავე

ეპარქიის დისიას ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ ნაკაშიძე; იმავე ეპარქიის სოფ. ფარცხანის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი გიორგი ცინცაძე; სუსუმის ეპარქიის გუდაუთის მაზრის, სოფელ დუჭუშის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ კირტაძე; იმავე ეპარქიის შავი-ზღვის ოლქის სოფელ ელაშინავის ეკლესიის მღვდელი დიმიტრი სობოლკევი; ვლადი-გაგავის ეპარქიის გიორგის დელათა მონასტრის მღვ. პავლე ლაეროვი.

დ) უწმ. სინოდის ლოცვა-კურთხევითა გრამატიით—ჯრუჭის მაცხოვრის მონასტრისა, შორაპნის მაზრის ანქამანდრატი ბენიამინი; თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი და მდივანი იმავე სემინარიის სამმართველოს კანდიდატი ღვთის შეტყუებუბისა ნიკოლოზ ნიკოლსკი.

ე) უგრამატოთ—გურია-სამეგრელოს ეპარქიის სატგინის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი პეტრე ხოჩალავა; იმავე ეპარქიის მონღანოსის მიძინების ეკლესიის მღვდელი დავით შენგელია; ქალაქ შაბა-გორის მაცხოვრის ტაძრის დეკანოზი ვასილი ერასტოვი; ქართლის ეპარქიის თბილისის სასახლის უფოფილი წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე ბოლოდინოვი.

ნ უ ს ხ ა

იმ მღვდელ-მსახურთა, რომელნიც სამეგალითო, გულმოდგინე და სასარგებლო სამწყსო სამსახურისათვის მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოებსობის, ექსარხოსის მადრ ამა 1894 წლის 25 აპრილს დაჯილდოვებულ იქმნენ:

ქართლ-კახეთის ეპარქიაში.

ა) სკუფით: ბორჩლოს მაზრის ქვიან-ბუღკასანის წმ. დიმიტრის ეკლესიის მღვდელი მიხეილ ქსენოლოზოვი; გორის მაზრის მე-III საბლაღოჩინო ნაწილის

ბლადიჩინი, ცხანვალის უკუვად წმ. ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიის მღვდელა მანასე კაპანაძე; ქალაქ ტფილისის ბუკმენთა წმ. ეკატერინეს ეკკლესიის მღვ. დიმიტრი მეტრეველი; გორის მაზრის სოფ. ასატურის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. პაულე ახალმენიშვილი; თელავის მაზრის სოფ. კნასელის უკუვად წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვ. სიმონ ჯაჯანიძე; სიღნაღის მაზრის სოფ. ბაგურცხასა წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. ნიკოლოზ მუქაერინი; ქალაქ ბაქის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მღვ. პეტრე ბოტაშვილი; თელავის მაზრის სოფ. გუგუანის წმ. იოანე ნათლის მცემლის ეკკლესიის მღვ. პოლიექტო კარბელაშვილი; ფანსის ოლქის მე-II საბლადიჩინო ნაწილის ბლადიჩინი, გრენადურთა სამკურაო მღვდელი ნიკოლოზ კომარი; ქ. გორის უკუვად წმ. ღვთის-მშობლის მიძინების ტაძრის მღვ. სიმონ ლაშაური.

ბ) ნაბერდნეკთ: ტფილისის მაზრის სოფ. მანასის უკუვად წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვ. ადამ უთიაშვილი; ბორჯომის მაზრის სოფ. აგდანის უკუვად წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვ. სპირიდონ არსიაშვილი; ტფილისის მაზრის სოფ. ივანკვას წმ. პეტრე-პავლეს ეკკლესიის მღვ. სტეფანე კულუკოვი; ტფილისის მაზრის სოფ. ირაქის წმ. ილიას ეკკლესიის მღვ. გიორგი ქსიმიდაშვილი; ბორჯომის მაზრის სოფ. იმერეთის წმ. პეტრე-პავლეს ეკკლესიის მღვ. ანანია ქსენოლოხოვი; ბორჯომის მაზრის სოფ. რენის წმ. მისეელ მთავარ-ანგელოსის ეკკლესიის მღვ. თეოდანე სოტროოვი; გორის მაზრის ახალციხის წმ. თამარ ეკკლესიის მღვ. იოანე ილიწაბედაშვილი; გორის მაზრის სოფ. ქვენატორის მაცხოვრის ეკკლესიის მღვ. თედორე ბერიძე; გორის მაზრის სოფ. ახალდაბის წმ. გიორგი და აგაპტის ეკკლესიის მღვდელი იაკობ ოქროპირიძე; გორის მაზრის მე-III საბლადიჩინო ნაწილის ბლადიჩინი, სოფ. ოტკეკას წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. იოანე კაპანაძე; გორის მაზრის სოფ. ლექვიანის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. პაულე ჯარიაშვილი; ღუშეთის მაზრის სოფ. ნატანტანის წმ. იოანე ღვთის-მეტყველის ეკკლესიის მღვ. იოანე ტაბლიაშვილი, სიღნაღის მაზრის სოფ. ნუგრანის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. ვასალ ნათიძე, სიღნაღის სოფ. საქობის უკუვად წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვ. მიხეილ ხატისკაციშვილი; ერკვის გუბერნიის სოფ. გელის სამკურაო მღვ. სამსონ ალავერანოვი;

ურსის ოლქის I-ლ საბლადიჩინო ნაწილის ბლადიჩინის თანაშემწე, სოფ. ლალოლის ეკკლესიის მღვდელი ხალაშარე გრიგორიევი.

II, იმერეთის ეპარქიაში.

სკუფით: სოფ. ზედა-მდლავის მაცხოვრის ეკკლესიის მღვ. ტარასი ტყემელაშვილი; სოფ. მათ-ნოჯის წმ. ვასილის ეკკლესიის მღვ. ტიმოთე ქუთათელაძე; სოფ. ჭიხაშის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. ანდრია ლეყავა; სოფ. გაღიღის ეკკლესიის მღვ. დავით გერსამია; სოფელ ვანის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ილარიონ გიორგაძე; სოფ. გუგუნას წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. ანდრია გაბადაძე; სოფ. ქვემო-მესხეთის წმ. სამების ეკკლესიის მღვ. სიმონ კუხიანიძე; სოფ. რცხილათის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ გოგსაძე.

III, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში.

სკუფით: შატრა-ფოთის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. ნიკოლოზ დათუაშვილი; სოფ. მწვემის წმ. ბარბაკის ეკკლესიის მღვ. არსენ ჩალაჯანიძე; სოფ. სუ-ჭუნის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი იოანე საბაშვილი; სვანეთის შქედის წმ. სამების ეკკლესიის მღვ. დავით ნემაძე; სოფ. ნამბურის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. პეტრე გაბუკიძე; ქალაქ ოზურგეთის წმ. მარინეს ტაძრის მღვ. დავით ლუმაძე; სოფ. ზედა-ჩაქვაშის წმ. სამების ეკკლესიის მღვ. ბესარიონ დავითიანი; სოფ. ჟაგალის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. პეტრე კვარცხელია, სოფ. მუსერის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი პეტრე ჭანტუტია, სოფ. საკი-ვიანის წმ. შობის ეკკლესიის მღვ. თილონე კვარცხელია; სოფ. გუგუთის წმ. მთავარ-ანგელოსის ეკკლესიის მღვ. ბესარიონ თურქია; სოფ. ჟოლევის წმ. გიორგ. ეკკლესიის მღვ. ვასილ კურუა.

სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორისაგან

მისის იპპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებისამებრ, უწმიდესის უმარტებულესის სინოდის ჭარტლ კახეთ-იმერეთის კანტორამ მოისმინა: საქართველოს ექსარქოსის კანცელარიის 1894 წლის 12 ანგვის მე-70 № ის მოწერილობა, რომელთანაც, საუწყებლად და სახელმძღვანელოდ, წამოგზავნილია შიჩი უწმიდესის სინოდის ბატონ ობერ-პროკურორის წინსულ 1893 წლის 9 დეკემბრის მე-6512 № რის საყოველთაო მოწერილობისა გეგბის მარკების გაუქმების შესახებ ბრძანეს: გამოცხადებულ იქმნას რა საყოველთაოდ საქართველოს საეკლესიოში შესავსებელი წესი მარკების გაუქმების, სასტიკი მოკვლეობად დადგინოს ვკელა დაწესებულებასა და საეპარქიო უწყების თანამდებობის შიჩს, მათ რიცხვში სამრეკლო მღვდლებსაც, რომ სასკებთთ იხელმძღვანელან ხსენებულს მოწერილობაში აღნიშნულ მარკების შესავსებელ გაუქმების წესით.

უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის კანკარ-გულებს.

ბნმა უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორმა, მისის მადალ ყოვლად უსამდვდელო-ესობის, საქართველოს ექსარქოსის შუამდგომლობისა გამო, სამეურნეო მმართველობის 1894 წლის 25 თებერვლის მე-4487 №-რის მოხსენებისამებრ და ფინანსთა მინისტრთან დაწებულ შიწერ-მოწერის შემდეგ, დაამტკიცა თელავის სასულიერო სასწავლებლის მოსამსახურეთათვის დასაარსებელ შემნახველ-გამსესხებელ კასის წესდება.

უწმიდესი სინოდის ბრძანება.

უწმიდესის უმარტებულესის სინოდის 1894 წლის 18 თებერვლის მე-769 № რის ბრძანებით, სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის შუამდგომლობისა თანახმად, თელავის მაზრის სოფ. ვარდისუბანის ყოვლად უწმ. დვთის-მშობლის მიძინების ეკლესიასთან დაარსდა მეორე შტატი მდვდლისა და მედავითნესაგან, რომელთაც ხაზინისაგან წელიწადში ოთხასი მან. ჟამაგირი უნდა მიეცეთ, ამა რიცხვში 300 მან. მდვდელს და 100 მან. მედავითნეს, მასთან ორას სამოც-და-თუთხმეტი მანეთი უნდა მიემატოს ამა სოფელში უკვე მყოფს კრებულს, რათა საზოგადო ფულიდგან (125, 275, 400) მდვდელი იდებდეს 300 მან. და მედავითნე 100 მან. და კრებული ვადდებუელი იყოს უსასყიდლოდ იშრომოს საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელში, რომლის დაარსებისათვისაც დაუყოვნებელი ზრუნვა უნდა იქონიოს.

ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალნი კანტორის მღივნის თანამდებობის აღმასრულებელი ილია მოსეს მე კვიციანიძემ უკვე დამტკიცებული არის ამავე თანამდებობაზე უწმიდესი სინოდისაგან.

ხარისხი ებომა

უმარტებულესის სენატის 1894 წლის 22 მარტის მე-37 №-რის, ბრძანებით, ჰეროლდის დეპარტამენტში წარგზავნილით, სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის სტოლის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს აღექსი დავიდაფს, წოდებით სტულდენტ სასულიერო სემინარიისას, ებომა კოლეგსკი რეგისტრატორობა უფროსობით 1893 წლის პირველ სექტემბრიდგან.

მწყმესი



მე ვარ მწყმესი კეთილი: მწყმესმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედელი. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. (მათ. 11—28).

№ 10

1883—1894

15—30 მაისს.

შინაარსი: უმაღლესი ფილდონი.—უწმიდესი სინოდის განჩინებანი სასულიერო პირთა ფილდოზე.—სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორისაგან.—უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის განკარგულება.—უწმიდესის სინოდის ბრძანებანი.

სადატრატორა განყოფილება: არ არის მართალი—მწარე ფიქრები.—ახალი ამბები და შენიშვნები.—საისტორიო მასალა.—განცხადება.

არ არის მართალი.

მოსკოვის ერთი რუსული გაზეთი «Русская жизнь»-ი შეძგვ საუურადღებო ამბავს მოკვითსრობს: ჩვენ გავიგონეთ, ვანკარგულება მოხდაო, რომ ძველი წმინდა ხატი, ჯვარი, სახარებები და წიგნები, რაც კი მოიპოება საქართველოს ძველს მონასტრებში, სულ საეკლესიო არხეოლოლიურ მუზეუმში უნდა გადაიტანონ, ტფილისის სინოდის საკრებულო ტაძართან რომ არისო. ვეკვობ, არსად ქვეყანაზედ იმდენი ძვირფასი სახსოვარი ძველი მსოფლიო გონება-განვითარებისა და განათლებისა

არ მოიძებნოდეს, რამდენიც არის კავკასიის აქეთ მხრის სხვა-და-სხვა კუთხეებშიო. გავიხსენოთ მხოლოდ გელათი და სხვა მონასტრებიო, როდელთა სალაროებში ინახება ძველი ძვირფასეული საღვდელ-მოქმელო საგნები, მილიონებად საღირალიო, რაკი ყველა კავკასიას აქეთა მხრის მონასტრებიდან მდრადარი ნაშთი წარსული საუკუნოებისა: ძველი ხატები, მხატვრობა და მინაქრის ხელობა გადავა ტფილისს, მაშინ იქ მოგროვდება იმდენი სიმდიდრე წარსული ცხოვრებისა, რომ ქვეყანაზე უმდიდრესი მუზეუმი აღარ იქნება, რადგან მართო გელათის მონასტრიდან გაღიტანებენ იმდენ აუარებელს ძველს სახარებებს და წიგნებს მეცაზეტე საუკუნიდან მოკიდებული მებუთმეტე საუკუნემდის, რაც ძველი

შესანიშნავი მწიგნობრობის ნიმუში და მინაქრული ხელობა ყოფილაო.

ეს ამბავი, ჩვენის აზრით, ახალი არ არის, ძველია და არც მართალი უნდა გამოდგეს. სასულიერო და საეკლესიო სხვა-და-სხვა ძველ ნაშთთა შესანახავის, მუზეუმის, აშენება თბილისში სიონის ტაძართან ეკუთვნის აწ უკვე განსვენებულს მთავარ-ეპისკოპოს ზავლეს. ამ მუზეუმის აღმენების შესახებ კითხვა აღძრვა განსვენებულმა დიმიტრი ბაქრაძემ. განსვენებული დ. ბაქრაძის აზრი იყო, რომ საქართველოს საეპისკოპოსოს ეკვლა კუთხებიდან მოკერბათ ისტორიულის და არქეოლოგიურის მხრით საურადღებო ნაშთი და თბილისში გადმოეტანათ. შეუდგენ მუზეუმის შენებას სიონის ტაძართან, რომელზედაც დაინარჯა 4000 მანეთამდე. მოახსენეს უწმიდეს სინოდს მუზეუმის აშენება და მასთან სთხოვეს, რომ ამ მუზეუმში გადმოეტანათ ყოველივე შესანიშნავი ძველი ნაშთი. უწმიდესმა სინოდმა მოიხმინა საქართველოს ეპისკოპოსის მოხსენება და მოსაზრება, რომელიც დაფუძნებული იყო განსვენებული დ. ბაქრაძის მოსაზრებაზე და დასდვა თავისი მშვენიერი და ყოველის მხრით მოფიქრებული განჩინება.

ამ საქმის შესახებ მათმა მეუფებამ, მთავარ-ეპისკოპოსმა ზალლადიმ საქართველოს ეპისკოპოსად მყოფობის დროს უქაზი მიიღო უწმიდესი სინოდისაგან 1890 წელში. ამ უქაზის ძალით მათ მეუფებას ნება ეძლეოდა თბილისის საეკლესიო მუზეუმში გადაეტანათ ისტორიულის და არქეოლოგიურის მხრით შესანიშნავი ძველი ნაშთი ჩვენი ეკლეს-

სიებიდან (ხატების და ჯვრების გადატანის შესახებ კი არაფერი არ უოფილა), მაგრამ იმ პირობით, თუ ამ ნივთების გადატანასე თანხმობას განაცხადებდა ეკლესიის კრებული, სამრევლო და მონასტრების წინამძღვარი და მმანი. იოანე ნათლის-მცემლის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მაკარიმ და მცხეთის ტაძრის კრებულმა მართლაც განაცხადეს სურვილი, რომ ამ მონასტრიდან და ტაძრიდან ეკვლა შესანიშნავი ძველი ნაშთი გადაეტანათ თბილისის საეკლესიო მუზეუმში და კიდევაც გადაიტანეს. სხვაგან არსად არ გამოუცხადებიათ ასეთი სურვილი და არც ძველი ნივთები დაუძრავთ აღვილიდამ.

როდესაც იოანე ნათლის-მცემლის მონასტრიდან და მცხეთის ტაძრიდან ძველი ნაშთები ჩაიტანეს თბილისში, დეკანოზმა კალისტოვმა მომწერა: „არქეოლოგიური ეკსკურსია მოვასდინეთ კახეთისა და მცხეთისკენ მე და ბაქრაძემ და აუარებული შესანიშნავი ძველი ნივთები აღმოვაჩინეთ“-ო და მთხოვდა ამაების დაბეჭდვას გასეთმო. მაგრამ მე არ დაბეჭდე მისგან გამოკვანელი წერილი, როგორც უსაფუძვლო და კიდევ გამოუცხადე, რომ ეკლესიიდან ან მონასტრიდან ძველი ნაშთების გადატანა თბილისის მუზეუმში არ შეადგენს არქეოლოგიურ ეკსკურსიას-მეთქი...

გამოტყნული უნდა ვთქვათ, რომ მე წინააღმდეგი ვიყავი განსვენებული დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრებისა, რომ ეკვლა ჩვენი ეკლესიებიდან და მონასტრებიდან ძველი ნაშთი თბილისში გადაეტანათ. მე თანახმა ვიყავი, რომ ყოველ ეპარქიაში დაარსებულიყო ამისთანა მუზეუმები, როგორც ეს რუსეთშია შე-

მოღებული. ამ ჩვენმა კინკლაობამ ბ. ბაქრაძესთან ბატონ კონდაკოვამდისინაც მიაწია. ბატონი კონდაკოვიც ჩვენი აზრის თანახმა იყო და ისიც ჩვენთან ერთად ურჩევდა მართებლობას თვითეულ ეპარქიაში მუხეუმის დაარსებას, ჩვენი ეკლესიების და მონასტრების შესანიშნავ ძველ ნაშთთა დასაცვლად..

არ ვიცით, **Русская жизнь**“-ს სინოდის ეს უკანასკნელი განკარგულება შეუტყვია და აცხადებს ესლა, თუ ახალი რამ განკარგულება მოხდა 1890 წელს აქეთ ამ საქმის შესახებ? არა გვჯერა, რომ შემოდ სსენებული უქაზის რაიმე ახალი წინააღმდეგი უქაზი გამოსულიყოს. არ გვჯერა ეს მიტომ, რომ უოვლად შეუძლებელია ჩვენი საქართველოის ეველა მონასტრების და შესანიშნავი ეკლესიების ჯვრების, სატების, სელნაწერების და სხვა ძველი ნაშთების თბილისში გადატანა. სხვა არა იყოს რა, სად შეიძლება დაეტიოს ეს ამოდენა ნივთები?

განსვენებული დ. ბაქრაძე დარწმუნებული იყო, რომ ექსარქოსობა ჩვენში საუკუნოდ დარჩეოდბა და ამისათვის ერთობა საექსარქოსოსის ეველა ეპარქიებისა შეუცვლელი იქნებაო. მაგრამ ეს მისი ფიქრი ძლიერ უსაფუძვლო იყო და არის. ჩვენ არ გვჯერა, რომ ექსარქოსობა ნიადგ დარჩეს ჩვენში. ვფიქრობთ, რომ, ძალე თუ გვიან, ჩვენი ეპარქიებიც ისე დამოკიდებული იქნებიან უწმიდეს სინოდთან, როგორც რუსეთის ეპარქიებია და ნაცვლად სინოდალნი კანტარისა თვითოეულს ეპარქიაში დაარსდება კანსისტორია. მაშინ სრულებით მოუხერხებელი იქმნება თბილისის მუხეუმი საქართველოს სხვა ეპარქიებისათვის.

ესეც რომ არ იყოს, ერთი ეპარქიიდან მეორე ეპარქიაში ნივთების გაგზავნა კანონისაც და ჭკუიანური მოფიქრებისაც წინააღმდეგია.

მართალია, სოკიერთები ურჩევენ მონასტრებსა და ეკლესიებს შესანიშნავი ნივთების გადატანას თბილისის საეკლესიო მუხეუმში იმ აზრით, რომ ეს ნივთები არ მიიპარონ და არ წარიტაცონ ავაზაკებმა; მაგრამ ეს მოსასრებაც უსაფრძლო და უადგილოა. სწორეთ განსაკვირველია ამისთანა შიში! თუ ეს ნივთები შაჭაბაზის, ლანგ-თემურის და სხვა სპარსელების და თათრების ჯართა შემოსევის დროს ინახებოდა მონასტრებსა და ეკლესიებში და ამ დროიდგან დაცულნი არიან, რა უშავს დღეს, ამისთანა დამშვიდებულს დროს, როდესაც არც სპარსეთის, არც თათრების და არც ლეკების თავსედ დასსმის და დარბევის არ გვეშინია? მართალია, სოკიერთი ჩვენი მონასტრებიდან წაღებულ იქმნა მონასტრის ძვირფასი სატების კუთვნილება, მაგალითებრ: მარტვილისა და შემომქმედის მონასტრებისა, მაგრამ ეს ავაზაკებს კი არ მოუტაცნიათ. ეს სატები ნატარიუსისაგან დაწერილი და დამოწმებული ჰირობებით ქტონდათ მიცემული კაცებს, რომ გაეახლებინათ ივინი და მათი შესედულებისამებრ ნაცვლად ძველი „მედლიონებისა“ ახალი გაეკეთებიათ. იმათაც ახალი გაუკეთეს და ამნაირად სატებიც განასლეს.. ეს ამბავი მოხდა 1885 წელში და მას აქეთ არაფერი არ მომხდარა. არც არაფერი მოხდება, თუ კანონი რიგინად იქნება აღსრულებული უველასაგან. იქ კი, სადაც კანონის ასრულებას არავინ დაეძებს და თავის სურვილისაებრ იქცევა, იქ, სადაც არ სუფევს პატრი

და კრძალვა საეკლესიო ნივთებისა და შესანიშნავი საისტორიო ნაშთებისადმი, იქ სადაც ზირადი სარკებლობისათვის უარსა ჰყოფენ თავის ვინაობას, ისტორიას და თავიანთ საისტორიო ნაშთებს, არაფერს არ შეუძლია დაიცვას ეს ნივთები გინდ მუხეუმში შეინახონ და გინდ ციხეებში, განა ცოტა ნივთები იპარება მუხეუმებიდან?

სუველას თავი დავანებოთ, მაგრამ უბეტესად იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ იმ მონასტრებს და შესანიშნავ ეკლესიებს სრულებით აწებებს ის ზატივი და დიდება, რომლითაც დღეს ისინი სარკებლობენ ამ ნივთების წყალობით და ხალხსედაც ძლიერ ცუდსა და უსიამოვნო შთაბეჭდილებას იქონიებს ეს ამბავი.

დგ. დ. ლამაზიძე.

მწავალჯერ მივინაძა ოპოზიციას აქნაშით დასამარცხებულად, მაგრამ გასაცნად დამარცხებული უკუნ იქცა!..

(მწარე ფიქრები).

ერთ დროს შორეულ ქვეყანაში ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ მოვედი ქუთაისში. ამ შორეულ ქვეყანაში ვისაც კი შეხედავდი ყველა თავის მამულზედ, თავის თემზედ, თავის მოყვასზედ, თავის აწმყო და მომავალ ბედზედ ფიქრობდა. უსაქურ და უბრალოდ დროს გამატარებელ კაცს ძნელად შეხედებოდი სადმე. უნდა გითხრათ მართალი, შენატროდი მათ. როდესაც ჩემს სამშობლოში დაებრუნდი და ვიხილე ჩვენი ხალხი და მისი გულგრილობა და არხენობა ყოველივე საქმეში, მოვიწყინე და ჩაფიქრდი. შევხედე ამ დროს ერთ ადგილას რალაცხე

თავი მოუყრიათ, თითქმის, ყველა წოდების პირთა, დიდი ჩოჩქალი და გაცხარებული კამათობა აქვსთ, ერთმანეთს ცხარეთ ებასებოდნ. ვითქვინ, სწორეთ რალაცა შესანიშნავი საქმე მომხდარა ამათ თავხედმეთქი. ვსთქვი გულში, მაღლობა ღმერთს, რომ ჩვენი ხალხი ეჩვევა ერთად შეკრებილი თავის ბედზე და უბედობაზე ფიქრს და მსჯელობას-მეთქი. მიუხალოვდი ამ ხალხის კრებას და ერთ თავადი შევილს, რომელიც ყველაზე უმეტესად ცხარობდა და ჯაგრობდა—ეკითხე:

— ბატონო, ე—ნ! რა ამბავია? რაზე გაქვსთ მსჯელობა და რაზე შეკრებილხართ ამ დროს ქუთაისში? ეკითხე მას.

— ძლიერ საჯაყი საქმე მოგვივიდა, ნამეტანი საწყენი, მომიგო მან.

— რა ამბავია, ეკითხე კიდევ.

— როგორ რა არის, ნუ თუ არ იცი, რა ამბავი იყო დღეს ქუთაისში, მკითხა მან.

— არ იცი, ეს არის ეხლა მოვედი შორიდან, ერთი თვეა, რაც აქ არ ვყოფილვარ, მიუგე მე.

— აი რა იყო, დაიწყო მან, გლდანელი ჩამოვიდა ქუთაისში და მოქიდავე მოგეთხოვა, ჩვენც ფალაფანდათ გამოვიყვანეთ ოქროპირ არაბიძე, მაგრამ ქე არ წავგვიტია იმ ოხერმა! რა იმედი მქონდა, ზორბა კაცი იყო ის ოხერი და მეგონა დასცემდა, მაგრამ მიმუხთლა იმედმა: გლდანელმა სარმა უქნა და ყირაზე დასო ამ სისხო კაცი და შეგვარცხინა! საშინლად გვეწყინა... ამაზე გვაქა ლაპარაკი. გვინდოდა სხვა ფალაფანდი გამოგვეყვანა, მაგრამ არაეინ ვაბედა გამოსვლა, შევრცხვით ყველანი...

სწორეთ ეს ახირებული შემთხვევა მაგონდება, როდესაც თბილისის თავად-აზნაურობის ბანკის არჩევნების ამბავს ეკითხულობ. ერთი უშველვებელი კოწიწი, ერთი ლანძღვა-გინება, ერთი მტრობა, შური და «რჩეების» რახა-რუხი... «ივერია» ხომ ქვეყანას შესჩივა მაჩაბლებზე: იქამდის მივიდა საქმე, რომ კვეთებულის წაკითხვას უპირობდენ ზოგიერთებს. „ივერია“ ნიდაღ აცხადებდა: „ოპოზიცია იერიშით მივიდა, მაგრამ გასაოცრად დამარცხებული უკუნ იქცა“. მთელი საქართველო ყურს გვიგდებს და მოუთმენლად მოელოს შეიტყოს, რა ხდება თბილისის ბანკში და ვინ რა სთქვა და ვინ გაიმარჯვაო... დიად, არათუ მთელი საქართველო, არამედ საფრანგეთი

და ინგლისიც თურმე მოუთმენლად ელიან შეიკო-
ყონ, თუ როგორ მიდის თბილისის ბანკის საქმეო.
ამბობენ, გლადსტონს «ივერია»-ის № № ნომრები, დაუ-
ბარებია და ათარგმნინებსო!..

მართლაც, რას არ ამბობენ, რას არ კადრუ-
ლობენ! ერთი ალიაქოთი, ერთი კიჟინა, ერთი ყვი-
რილია. ორიოდ თვეადიშვილი საგანგებოდ დაიბა-
რეს «ივერია»-ში შრომის მისაღებად. საგანგებო
კორესპონდენტები დანიშნეს ყველა თბილისის გა-
მოცემათა რედაქციებში თავიანთი ხარჯით. მანდი-
ლო(ნებიც გავრიენ საქმეში და ბევრს გული მიდიო-
და, როდესაც ეს ვაცხარებული «პარტიები» ერთი მეო-
რეზე დასამარცხებლად იერიშით იწვედნენ. გასმოდა
ქალების წივილი კივილი: „გვიშველეთ, ცინა ხართ
ქრისტიანი! ზიზღა გამოუტყვადეთ მაჩაბლებს, რო-
გორ კადრებენ ჩვენს საყვარელს ილიას წინააღმდეგ
ლაპარაკს? ილია ჩემი ღმერთია, იმან შემაყვარა მა-
მული, ლიტერატურა. ჩემს სიცოცხლეში ვებრძვი
და ზიზღით უყურებ მაჩაბლებს და ილიას აუგს ვინ
მათქმევინებს!..“

აქ უნებლიეთ მაგონდებიან კიდევ ის გულჩვილი
ქალბატონები, რომელნიც ქვითინებდნენ და ცრემლით
იღვრებოდნენ, როდესაც მცხეთის გორებიდამ კერპე-
ბი დაავორეს, ქრისტიანობის მიღების შემდეგ. ეს
გულჩვილი მანდილონები ყველას შესჩიოდნენ ამის-
თანა შეურაცხებას მათი სათაყვანო კერპებისას და
ფგონათ, ქვეყანა დაიქცეოდა ამისთანა თავნებობი-
სა და კერპების შეურაცხებისათვის!..

მეორე თავადიშვილი გაიძახის: «ბატონებო,
კენჭის საყრელი კოლოფი და კენჭები უბრალო არ
გეგონოსთ. ეს ნივთები ჯვარი და სახარება არის
ჩვენთვის (ღმერთ წინაშე ამას კი მართალს ამბობს).
ეს კრება წმიდა წმიდათა არის, უბრალო კი არ გე-
გონოსთ!..»

— როდესაც კენჭის საყრელ კოლოფთან მივალთ,
უნდა წარმოვიდგინოთ ეკკლესიის წმიდა ადგილი,
ეთომ სააღსარებოთ და საზიარებლად მივდივართ.
(ხალხში ხმა ისმის, ოცი წელიწადია შავას არც აღსა-
რება უთქვამს და არც ზიარებულა და აქ კი ჯერის
და სახარების სიწმიდეს მიქადაგებს!..

მესამე გაიძახის: «ბატონებო, ეს რა უბედურება
არის ჩვენს თავზე, სწორეთ მეორეთ მოსვლის ნიშა-
ნია! სანამდის მაჩაბლები გაჩნდებოდნენ, მანობამდისინ
რატომ არ იყო ეს ალიაქოთი? წინეთ შევიკრიბებო-

დით და ერთი კაც, ილია იქნებოდა, თუ გრიგოლი,
რასაც გვეტყოდა, ულაპარაკოდ მივიღებდით, არც კი
ეკითხულობდით, რაზე გვაწერინებდნენ ხელს, რასაც
ვირველია, ნდობა გქონდა. დღეს რას ეხედეთ?
სულ აირია ჩვენში საქმე. მივიღოთ ზომები, რომ ეგ
მაჩაბლები გავაძიოთ აქედამ, თორემ სულ არ მოგ-
ვემლება უსიამოვნება.

მეოთხე გაიძახის: «Позвольте господа!
კრება ერთხმათ: ქართულადა სთქვი, რამ დაგავიწყა
ქართული?..»

— თავმჯდომარე. ბატონებო, нельзя давле-
ния производить!..

ერთხმად შესძახიან: ქართულად, ქართულად!

ერთი თავადი. მე მსურს კონვერსია აგისნათ,
ბატონებო, მაგრამ ეს საგანი ძლიერ რთულია და
ქართულად ვერ ავხსნი. მომეცით ნება, რუსულად
განვიმარტოთ. დაიწყო, განმარტა და ვათავდა—

— ერთი წვერი: ვაიგეთ რამე, ბატონებო, რა
არის კონვერსია? ხალხი. ვერაფერი ვერ ვაივიგეთ.

წვერი. მე აგისნით და განვიმარტებთ ქართუ-
ლად და ბოლოს ეკითხება, ვაიგეთ?

— ხალხი. ვაივიგეთ, ვაივიგეთ.

ნიშადურის სასუნეხელი სპირტი ბევრი დაიხარჯა
გულშემოყრილთა მოსაბრუნებლად. ღმერთო, ვინ
აწერს იმას, რაც ამ თოთხმეტ დღეში მოხდა თბილის
ში?.. უმჯობესია ავიღოთ «ივერია» და ვნახოთ რას
სწერენ: «დღევანდელი ქრილობა მოგაგონებდათ იმ
უკანასკნელს წამს ბრძოლისას, როდესაც ორიგ მხრით
ჯარი, ხელ-და-ხელ ჩარეული, ივიწყებს თავს, სახლს,
კარს, მოვალეობას, უფლებას და ინსტიტუტურად
ებრძვის მტერს, რომ მაინც და მაინც დაამარცხოს!..»
დედა, დედა, დედა! რას იტყვიან ინგლისელები,
როდესაც ამ ამბავს წაიკითხვენ!!.. ეკითხოთ: რა
იყო, რა მოხდა, რაზედ იყო ეს ვაცხარებული ბრძო-
ლა? რა იყო და კუჭის ბრძოლა, როგორც შეე-
ნიერად შენიშნა აკაკიმ. ყველა ამაყების მიზეზი იყო
თბილი ლუკმა, ხუთი ათას მანეთიანი ჯამაგირი,
რომლის მიღებისათვის კაცს წელიწადში ორი თვის
მუშაობა სჭირდება და ათი თვე შეუძლია სჭამოს
და იძინოს. დღად, ამან გაამწვავა და ააშფოთა ამ-
დენი ხალხი და არა მამულის სამსახურმა და მოძ-
მეთათვის კეთილდღეობის სურვილმა და ზრუნვამ.
არ გჯერათ ეს, ბატონებო? აბა გადაავლეთ თვალი

სხვა ჩვენ საკუთარ ! შეენიერ დაწესებულებათა. როგორ იქცევიან აქ ამ დაწესებულებათა თავმჯდომარეები? ერთი ტელეგრაფის იწერება, არ მსურს, მე თავმჯდომარედ ამირჩიოთო. მეორეზე ამბობენ: სხდომასზე დღეს ვერ მობრძანდა მათი ბრწყინვალეობა, რადგან ცოტა გუნებაზე არ იყო კარგადო...»

* * *

ბევრს ყვირიან იმაზე, თუ რა ზომა მივიღოთ, რომ ბანკში მოსამსახურე პირთა არჩევანებზედ ამდენი შფოთი არ მოხდეს ხალხგო. წარმოდგინეთ ჩვენი გაკვირვება და ზოგიერთების ახირებული მსჯელობა. ერთი უჩრჩხვ: მანაბლები გავაძიოთო, მეორე — ვეჭილობის მიცემა შეეშალოთო, მესამე — ყველას ნუ მივსცემთ ვეჭილობასო და სხვა კიდევ რას არ იჩრჩევა, მაგრამ ყველა ამოა! ბატონებო, დაუნიშნეთ ჯამაგირი ზომიერი, შრომისა და გვარად ყველას, და თქვენ ნახავთ, რომ ეს შფოთი მოისპობა. თქვე დალოცვილებო, საათის მუშაობაში კაცს ას მანეთს უნიშნავთ და, რასაკვირველია, ამისთანა ადგილის ხელში ჩაგდება შფოთს გამოიწვევს!..

მერე კიდევ რა ახირებულად სჯიან ზოგიერთები! კაცი თექვსმეტი და ხან მეტი წელიწადი ერთ ადგილზე არის და დღეს სხვა უნდათ დააყენონ! როგორ იქნება ეს?.. ბანკის წესდების შემდგენლებს რომ იმდენი ეგონათ და დაედგინათ, რათა არც ერთ მართველს სამ არჩენის შემდეგ არ ჰქონებოდა უფლება მეოთხედ არჩევისა, მაშინ, ვგონებ, ამდენი დავიდარაბა არ იქნებოდა... ოცი წელიწადი კაცი ერთ თანამდებობაზე ემსახურება და მერე მისი დათხოვნა უნდათ, ისიც უბენსიოთ! ღვთის წამება აღარ არის, ამას ისურვებს პატროსანი კაცი?! ნათლის-მამები აქებენო და რა არის აქ დასაძრახავი?! მირონის პატივი არ უნდა ჰქონდეს კაცს?!..

* * *

«ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვისო», ამბობენ თურმე ერთ ქვეყანაში. ჩვენში იტყვიან: ყველანი ბანკისათვის და ბანკი მასშინა მოსამსახურეთათვისო... ამტკიცებენ: «გავგვტოდით, ბანკს დღეს შემოსავალი აქვს ოთხმოცი ათასი მანეთიო!.. კარგი და პატროსანი, მაგრამ ეს ფულები ვის ხდება? ნამეტანი ნაწილი ჩვენს მიმამულეთა. დააკვირდით კარგად ჩვენ თავდაზნაურობას, როგორ ჩაფლული არის ყელთამდისინ ვალში დღეს. შეხედეთ, რამდენ

ნი დიდებული თავდაზნაური განადგურდა და თავისი აუარებელი მამულებიდან რარი გოჯი მიწა აღარ დარჩენია. დღეს მათ ზოგიერთ მემკვიდრეებს კორარესპონდენტების «გონორარიით» უნდათ დაიბრუნონ დაღუპული მამულები. ღმერმა ინებოს, მაგრამ ძლიერ საქვეოა...»

* * *

ჩვენი ქალაქ ტფილისის საზოგადოებაში ზნეობის ასამაღლებლად და განსამტკიცებლად ერთ ევლაცა უცხოელ კაცს ნანას ნახატი დაუსვენებია არწრუნის სეულ სახლში და ხალხს ბილეთებით აძლევს ნებას შევიდეს და იხილოს ამ შესანიშნავი ზოლას რომანის გმირის «ნანას» სხეული ევას ტანისამოსში. ამბობენ, ტფილისის საზოგადოებამ დიდი სურვილი გამოიჩინა ამ მხატვრობის ხილვისა. დედაკაცებისათვის განსაკუთრებული დღე იყო დანიშნული, პარასკევი და ამ დღეს ბევრი ბილეთი იყიდებოდა თურმე. დაღ, მანდილოსნებისათვისაც არ დარჩება უსარგებლო ეს მხატვრობა... დიღ, განათლების დროა, განათლებისა...»

იქვე გვერდით გახლავთ წიგნთ-საცავი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, სადაც ყველა ქართული წიგნები იყიდება. გნებაესთ შეიტყოთ, თუ რამდენი წიგნები გაიყიდა ამ ათი დღის განმავლობაში ამ წიგნთ-საცავში? მართლაც მოსალოდნელი იყო, რომ წიგნები ეხლა ბევრი უნდა გაყიდულიყო. ათას სამასამდინ კენჭოსნები იყენენ, ორასამდინ მაყურებელი მანდილოსნები არიანო, სწერდენ. გარეშე მაყურებლები ხომ მრავალი იყო. ყველა ეს ხალხი ამ წიგნთ-საცავის წინ იყენენ თითქმის ყოველ დღეობით, როგორც შეგვატყობინეს, სულ შვიდი შაურის წიგნი გაყიდულა! აი მკითხველო, აქედამ შეიტყობთ ჩვენი საზოგადოების ხასიათს, თუ რამდენად არის გამსჭვალული ცნობის მოყვარეობით, ლიტერატურით და რამდენად შესტკივა გული ჩვენს საქვეწო და საზოგადო საქმეებზე.

მიბრძანდით ეხლა ბანკის ბალში სასმელსაქმელების გამყიდველთან და ჰკითხეთ, რამდენის ხაფასო სასმელი და საქმელი იხმარეს ამ «საქვეწო საქმის» გულშემატკივართა და მებრ'ოლთა? შეიტყვეთ განსაკუთრებით, რამდენი კახური მიირთვეს და ხარჯთა ნუსხა თქვენ აშკარად დაგიმტკიცებთ, თუ

რამდენად სიუხვით ასაზრდოებენ კუჭს და ამავდროს ამშვეფენ ტვინსა. საკმაო იქნება ჭეშმარიტი აზრი შეადგინოთ კიდევ ერთის მხრით, თუ შეიტყობთ, რამდენი განდა ბედნიერი „ნანას“ მხატვრობის ხილვისა და რამდენი დაეხარჯათ ამ ხილვისათვის!..

* * *

აღუსრულდათ სურვილი! გაიმარჯვა 934-მა და დამარცხდა 330. «ივერი»-ის მემატინები ასე აგვიწერენ ამ ამბავს: «დასახნეს კიჟინა, ვაშა, ტაშისცემა შეიქნა, კრებაზე დაარა ისმოდა რა. გვეგონებოდათ შენობა დაიქცევა ამდენი ხალხის ვაშას ძახილით და ტაშის ცემით». ბევრს ცრემლები მოსდიოდა სიხარულით, ზოგს «ყმელს» ნამეტანი სიხარულით ენა დაუღუშდა. საღმთო წერილის სიტყვები გამტყუნდა!.. კვლავ განაგრძობს მემატინე: «საღმთო წერილში სწერია ნამეტნაობისაგან გრძნობისა ბაგენი ჰმეტყველებენო და მე იმავე ნამეტნაობისაგან გრძნობისა ენა დამიღუშდა, მაგრამ ეს ღუშმილიც კი თქვენ მადლობად მიიღეთ». კვლავ ხანგრძლივი ვაშა გაისმა. საერთო აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გაზეთი დასაბეჭდად იყო, რომ რედაქციაში შეიკრიკი მოვიდა და მოიჯანა სასიხარულო ამბავი, რომ აირჩიეს სხვანიც»-ო და სხვ. ზოგიერთები ურჩევდნ თურმე გამარჯვებულებს, დაეკლათ ზეარაკი ჭამებელი და სამადლობელი პარაკლისი გადაეხდათ გამარჯვებისათვის მებრძოლთა ზედა მამულისათა, მაგრამ ზოგიერთებს ჭამებელი ზეარაკებს შემზადება ურჩევიათ მარტო და ამაზედ დათანხმებულან.

მართლაც, ვის არ გავხარდება მამულის დახსნა მტერთაგან, მტერთა ზედა ძლევა და გამარჯვება! ვინ არ დაადგამს ამ მეომართა გვირგვინებს, რომ საქართველო იხსნეს დალუპვისაგან, რომელსაც მამაბლები დამხობას ექადებოდნენ!!

მართლა ვინ არ თანაუგრძობს ამისთანა შევნიერ ძლევა-მოსილობას და გამარჯვებას, მაგრამ ჩვენ მანც იმ თავადიშვილის სიტყვები გვაგონდება: «საჯაყი საქმე დაგვემართა, გლდანელმა ოქროპირ არაბიძე წაგვიქცია და დაგვლუპაჲო.»

რა ზნეობითი სწავლა უნდა გამოავტანათ ზემო თქმულადან:

1) როდესაც უარესს მტერთან შეგხვედრია სიტყვის თქმა, იქ ხმას არ ეიღებო, არსაღამ სიხანს ჩვენ

თავგანწირული ბრძოლა, რომელსაც გამოვიჩინებ ხოლმე მხოლოდ 5-8 ათას მანეთიან ჯამაგირების მობლაუჭების დროს!

2) როდესაც მიუცილებელი საჭიროა ყოველი შენი მოძმის გონებითი ძალა მუშაობასთან შეკავშირებული და თანამოძმეთა საკეთილდღეოთ მიმართული, მაშინ ემუსრაეთ, ესაობთ და ვანადგურებთ მცირე საქმეებზე დახარჯვით ამ ძალას.

3) არ გვაქვს იმდენი მოფიქრება, რომ თავის შეუფერებელის ქცევა-მოქმედებით ძირს უთხრით და ეპარწყლებთ მოძმეთა სიყვარულს, შებრალებას, გმირობას და სულგრძელობას და სიტყვით თავის მიერვე წინადა აღმართულ დროშას: ძმობა—ერთობა—მამულიშვილობისას, უარს ეყვით.

4) დაიკარგა ჩვენში ქრისტიანული, ქართველური გრძნობა შემცდარ კაცთა შებრალებისა და დაკვალიანებისა!..

5) არა ჰგრძნობს ორივე გამწვანებული დასი, რომ ამ გვარ გამწვანებას და ურთიერთ საზოგადო საქმის მთელის საქართველოსათვის მიზნად დასახვას, სხვა არა იყოს რა ზნეობრივი ენება მოაქვს საზოგადოებისათვის. მართალია, თვინონ ეს გამწვანებულად მებრძოლი პირები არ ჰსურვებენ თავის სიმწვანეს განელებას, მაგრამ საზოგადოება მანც უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და ნაცელად წრეს გადასულ გამწვანებისა—მშვილობიან საქმის მართვა-გამგეობა უნდა დაარსონ და ააცილონ საზოგადოებას ამა ბრძოლის ფრიალ სამწუხარო ზნეობრივი ზედგაველენა.

6) დასაჯერი არ არის და არც ყოფილა არასოდეს, რომ ამისთანა გამწვანებაში მარტო ერთი მხარე იყოს და მანაშავე და მეორე კი სრულებით მართალი.

7) არა არს კაცი ქვეყანაზე, რომელიც ასრულებდეს ათ მცნებას და დანაშაულობა არ მიუძღოდეს. რომელიც ამბობს ცოდვა არა მაქვსო, ის ყველაზედ უცოდველესია.

8) რომელსაც სძულს ძმა თვისი, იგი ბნელსა შინა ეალს, ჩამეთუ შურზან ძმისა მან დაუბნელა მას თვალები..

სოფლის ხუცესი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

29 მაისს, დღით კვირას, ხარაზოვის თეატრში დანიშნული იყო ქ. ქუთაისის ხმოსნების არჩევნები. დილის რვა საათიდან ხალხმა იწყო შეკრება. თერთმეტ საათზე იწყეს კენჭის ყრა. ხმოსნების კანდიდატებათ დასახელებული იყო 135 კაცი, მაგრამ მათში ბევრმა უარი განაცხადა და მარტო 110 კაცს დაუდგეს ყუთები. ამ 110 კანდიდატიდან უნდა აღერჩათ 38 ხმოსანი და 10 კანდიდატი. ნაშუადღევს ორ საათზე გათავდა კენჭის ყრა. 110 კანდიდატში არჩეულ იქმნა მხოლოდ 28 კაცი და დანარჩენი სულ გააშავეს. კიდევ უნდა აღჩიონ ათი კაცი ხმოსნად და ათიც მათი კანდიდატი. კენჭი უნდა უყარონ ისევ მათ, რომელნიც პირველ არჩევნების დროს გაშავედნ, ვინც კი ისურვებს მათში კენჭის ყრას. 28 კაცში მხოლოდ ოთხი კაცია ვაჭარი, თორემ სხვები ყველა ინტელიგენტთაგანები არიან.

* *

ამას წინათ არქიერის გორაზე მცხოვრებლებმა თხოვნა მიართვეს ყოველად სამღვდლო გაბრიელს და სთხოვეს, რომ მომავალი სასულიერო სემინარიის შენობა უსათუოდ ამ გორაზე აეგოთ, ოცხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის მახლობლად. თხოვნაშივე აცხადებდნ, რომ წყალს ჩვენის ხარჯით გამოვიყვანთ სემინარიის ეზოშიო. ამავე გორაზე დასავლეთის მხრით ვერს ნახევრის სიშორეზე ყოველად სამღვდლოს სახლიდამ არის წყარო, საიდანაც ამ რამდენიმე წლის წინათ წყალი იყო მიღებით გამოყვანილი, მაგრამ დღეს ეს მიღები ჩატეხილია. 30 მაისს ყოველად სამღვდლო გაბრიელმა დაათვალიერა ეს წყალი და ძლიერ მოიწონა. მათ მეუფებას მოახსენეს, რომ ამ ადგილიდამ წყლია გაყვანა მათ სასახ-

ლმდე, როგორც სამთო ინჟინერმა გამოიანგარიშა, 720 მანეთი დაჯდებაო.

* *

ქუთაისის ქალაქის თავის მეცადინეობით უკვე გაიცა ვაჭრობით გზა-ტყევილის გაყვანა ფერმის ქუჩიდან ყოველად სამღვდლო გაბრიელს სასახლემდე. გზა გაიცა 5,000 მანეთად. მუშაობა უკვე დაიწყო. ამ გორაზე სასულიერო სემინარიის დაარსების მოწინააღმდეგენი დიდ დამაბრკოლებელ მიზეზად ასახელებდნ უგზობას და უწყლობას, მაგრამ ორივე ეს დაბრკოლება დღეა აშორებულა.

* *

ქუთაისის ეპარქიალური გაბრიელის დედათა სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბ. იოსებ თადეოზის ძე სანებლიძე; ამავე სასწავლებლას უფროს ქალად (начальница) დაინიშნა განსვენებული თავადის ნ. თავდგირიძის მეუღლა ნინა. პირველი კლასის საგნების მასწავლებლებად ამ სასწავლებელში დაინიშნენ: მარიამ ოტის ასული ვარდოსანიძე და ა. ჭიჭინაძის ასული.

* *

ქუთაისში ჯერ კიდევ ოფიციალურად არ არის გამოცხადებული სასულიერო სემინარიის გახსნის საქმე, მაგრამ ჩვენა ვასაკვირვლად და ვასაოცრად, რუსეთის ზოგიერთი ქალაქებიდამ ტელეგრაფები იგზავნება და კითხულობენ, არის თუ არა სემინარიის პირველ კლასში ადგილიო, რომ ყმაწვილები ჩამოვიყვანოთო? სწორეთ ახირებულნი ამბავია.

საისტორიო მასალა.

არაან კიდევ ისეთი ოჯახნი ძველას თავადის შვილებისა, სადაც ღღესაც მოიპოვებთან ძველნი ნაშთნი ხელთ ნაწერის წიგნებისა და ხატთა. სწორედ ამ გვარ თავადთაგანს ეკუთვნის ქისტაურში მცხოვრებელიც ღენერალ-მაიორი გიორგი (ვიანო) გიორგის ძე ერისთავიცა.

ამ თავადის გიორგი ერისთავის ოჯახში ღღეს მოიპოვებთან შესანიშნავნი განძნი: 1) ჯვარი კვიპაროსისა ვერცხლის ტარანი სიმალით ნახევარ არშინზედ ცოტა მჭეტი მშვენიერის ჩუქურმით ამოჭრილი. პირველს პირზედ არის ღვთის მშობლის ხარება, შობა ქრისტესი და მოგენი თაყვანისმცემელნი, ნათლისღება, მირქმა ქრისტესი, ფერისცვალება უფლისა, დედაკაცისაგან ალაბასტრის დასხმა სვიმონის სახლში და იესო ქრისტე 12 წლისა ზის ურჩების მოძღვართ შორის.

მეორე პირზედ ამოჭრილია: ჯვარცმა და აქეთ იქით ორნი ავაზაკნი. იესო ქრისტეს იერუსალიმში შესელა, ამაღლება ქრისტესი. მიძინება ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა. აღდგომის შემდეგ მოციქულებთან გამოჩენა. ზრმის თვალის ახილება. თომასაგან გვერდის განხილება და ჯვარის ამაღლება.

წარწერა აქეს შემდგომი: ქ: ჳი: შენ: . *) საშინელო ჯვარო ცხოველს მყოფელო მე მრავალ ცოდვილი და წყალობისა შენისა უღირსი მარიამ შემიწყალე და მომხელე ოღეს მაუხსდა ქართლის ხელმწიფე მეფე გიორგი სამს მარიამობის თვის ღღესა პარასკევსა მოიღე შენი წყალობა და დამიხსენ საფლავისაგან ჩემი გიორგი და ბარძიმაეთანდილ და ონოფრე და გაუმარჯვე სრულიად ქართველზედ იმ დღისათვის მოგაქედინეთ შემინდე ჩემი ცოდვანი და მიღებრძელე შეილები ამინ. არ უზის ქარონიკანი, თუ როდის არის წარწერა.

2) ნაწილებიანი ხატი ღვთის მშობლისა კარებით დასახური. აქეთ იქით მოციქულნი პეტრე და პაულე არიან დახატულნი და შემკულნი არიან გვირგვინებში მარტივის ქვევებით. თვით ღვთისმშობლის გვირგვინში სხედს ერთი ფირუზი, ხუთი

*) წარწერების ყოველ სიტყვას უზის . . და ზოგან ორი წერტილი.

მწვანე ქვა, ხუთიც წითელი. ყელზედ მარგალიტი ქეს შებმული მომსხო და წერილი 16. იესო ქრისტეს გვირგვინი ორის მწვანის და ერთის წითელის ქვევებით არის შემკული. ხატი ვერცხლისაა ოქროში დაფერილი. ქვეშეთ აქეს წარწერა: ქ. მე არაგვის ერისთავმა მდივანბეგმა ბეჟანმა მოვაქედინე ესე ღვთისმშობლის ხატი სულთა ჩემთა საოხად და ძეთა საღღებრძელოდ ენკენისთვის ი წელსა ჩჳმ:

მეორე გვერდზედ არის წარწერა: ქ. წყალობითა მღვთისათა ჩვენ ცვათა და ფარვითა მინდობილმან ყოვლად უღირსმან ციციშვილმა სარდარ სახლის უხუცესმა საზამ და თანა მემცხედრემან ჩვენმან ღვთისა მოყვარულმან ციციშვილის მანუწარის ასულმან პატრონმან ანუკაემან მოვაქედინეთ ხატი ყოვლად წმიდისა ესე ღღეთა ჩვენთა წასამართებლად ძისა და ნაყოფისა მომცემელად და ცოდვთა ჩვენთა წარსამართებლად ძისა და ნაყოფის მომცემელად და ღოდვთა ჩვენთა შესანდობლად რათა მეოხ გვეყო ღღესა მას განკითხვისასა ამინ: . ქკს ტნზ. (1669).

ამ ხატს თექვსმეტი ნაწილი აქეს: იოანე ნათლისმცემლისა, წმ. ესტატესი, წმ. ნიკოლოზისა, წმ. პანტელეიმონისა, წმ. მათესი, იაკობისა, წმ. ბართლომესი, წმ. აბიბოსი, წმ. კლიმასი, წმ. მარკოზისა, წმ. სერგის და წმ. ბაქოსი, დანამთენთ კი არა აქეთ წარწერა.

წიგნთ საცაეში იპოვებთან ხელთ-ნაწერნი:

1) შესანიშნავი ლოცვანი ეტრატზედ ნაწერი ჩუცურად—ორიგნტებით. პირველ ფურცელზედ არის ხარება ღვთის მშობლისა და წარწერა აქეს: გიხაროდენ ცრემლთა ევსთა ხსნაო.

2) კიდევ ხარება ღვთისმშობლისა და მხედრულად აქეს ძირს წარწერა: ღმერთო, ღღებრძელობით ახმარე კათოლიკოზს ბატონს ანტონს. აქვე არის სოლომონ ბრძენი, რომელსაც აწერია: გვერდზედ: შენ მეოხ ექმენ წინაშე ღვთისა კათოლიკოზს ნიკოლოზს.

3) ღვთის მშობელი ხის ხატზედ და ანგელოზთ აქეთ იქიდან უჭირავთ მახარა. თაზედ აწერია: ძალი მალლისა აგრილობდა.

4) არის დახატული წმ. კვირიკე.

5) ყოვლად წმიდა ელისაბედ მოხვეულები არიან ერთმანეთზედ.

6) ღვთისმშობელი და იოსებ არიან დახატულნი. იოსებს მარცხენა ხელში კვერთხი უჭირავს და მარ-

ჯგენა ხელი გაშლილი აქვს. ღეთისმშობელს! ორივე ხელი გულზედ აქვს დაწყობილი. წარწერა აქვს: მართალი იოსებ შეშფოთნა, რამეთუ ისწავა მიდგომა შენი სულისა მიერ წმიდისა.

- 7) წმიდა გიორგი არის დახატული.
- 8) არის შობა ქრისტესი, იოსებ და მწყემსნი.
- 9) მოსემ რომ მაცვალი იხილა.

10) სამნი მოგენი არიან. ერთი თეთრს ცხენზედ ზის, მეორე წითელზედ და მესამე ლურჯზედ, მიმავალნი ხელგაპყრობით ვარსკვლავს შეპყურებენ. წარწერა აქვს: სამნი მოგენი ღეთიე მავალისა ვარსკვლავისა მხილველნი შეუდგეს.

11) წინასწარმეტყველი დანიელა.

12) ღეთისმშობელს უბყრია ყმა კალთაში. მოგენი დახოქილნი არიან. ერთი მოხუცია, მეორე ახალგაზდა თხილის ფერის წვერით. მესამე სულ ყმაწვილი სულ უწყვერ-უტულვამო. წარწერა აქვს: სამნი მოგენი ძღვენსა შესწირვენ უფალსა.

13) მოგენი წარელენ ბაბილოენად, უწყებულნი ანგელოსისა მიერ.

- 14) წმიდა ეფთიმე არის.
- 15) ღეთისმშობელი ზის ლუჯრს ცხენზედ, იოსებ ცხენს უკან მოსდევს ჯოხ დაბჯენით. წარწერა აქვს: იოსებ აღსდევ და წარიყვანე ყრმა ეგვი და დედა მაგისი ეგვიბტედ.

16) წმიდა საბა არის დახატული.

17) ღეთისმშობელი მჯდომარეა, ყრმა კალთაში უზის და წინ დიდი ჯვარი სდგას. წარწერა აქვს: ახალი აგებული გვეჯენა.

18) ევმანუილ ზის საყდარზედ, მარჯენიე ღეთისმშობელი, მარცხენიე პეტრე მოციქული და ძირს ღირსნი ხელ გაპყრობით არიან.

19) წმიდა პროკოპი არის დახატული.

20) მამა ღმერთია, რომელსაც მარჯვენაში ქვეყანა უბყრია, მარცხენით აკურთხევს. ძირს ღეთისმშობელია ფეხზედ მდგომი ხელგაშლილი, ყრმა გულზედ. წარწერა აქვს: ყოელად იყო ქვეყანისათანა და ზენათგან ყოელად არა მოკლებულ იყო და შობი ქალწულისაგან ღეთიე მიმალღებულისა.

21. ღეთისმშობელი ფერხზედ მდგომია, აქეთიქით ორი ანგელოსი, თავსა და ბოლოს ექესი ანგელოსი. წარწერა აქვს: ყოველი ბუნება ანგელოსთა განაცეფრა განკაცებისა შენისა საქმემან.

22. წმიდა თევდორე ტირონია დახატული.

23. ღეთისმშობელი და იესო ნახევრად არიან გამოსახულნი ყრმა იესო ორივე ხელით აკურთხევს. ძირს ორი რიტორი მოხუცი, დახოქილნი შეპყურებენ. ერთს კალთაში თეთრი წიგნი აქვს გაშლილი, ხოლო მეორეს ლურჯი. ამათ ძირს ორი თევზია. წარწერა აქვს: რატორთა მრავალ ხმათა, ვითარცა თევზთა უხმოთა; ეხედავთ შენდამი ღეთისმშობელო.

24) იესო ქრისტეა და ჯერის მტერთეველნი. მით გამოიხსნა ადამ და ევა.

25) წმიდა დიმიტრია გამოხატული.

26) ღეთისმშობელი ფეხზედ მდგომი და ქალწულნი ხელგაპყრობილნი არიან. წარწერა აქვს: დამბადებელმან აღკაშენა შენ უბრწუნელო.

27) წმ. ქრისტეფორე, სახე ცხერასა აქვს. წარწერა აქვს: იყო წმიდა ესე ქრისტეფორე ქვეყნისაგან კაცის მკამელთასა.

28) იოსე ქრისტე ნახევრად მჯდომარეა, ძირს ღირსნი არიან და არხილიკანთაგანი საცეცხლურით. წარწერა აქვს: გალოზა ყოველი ძღვევის თანა განერცობად.

29) ღეთისმშობელს მარჯვენაში სკიპტრა უბყრია, მარცხენა ხელი გაშლილი აქვს: აქეთ იქით მამანი და დედანი დახოქილნი არიან. წარწერა აქვს: ნათლისა მტერთეველად, ღამპრად ბნელისათვის გამოჩინებულად.

30) იესო ქრისტეს ორი ქარტა უბყრია და მოციქულნი აქეთ იქით: წარწერა აქვს: მადლისა მიცემისა მნებებელი ყოველთა კაცთა შეცოდებათა დამხსნელი მოვიდა.

31) წმინდა ნინოა დახატული.

32) ღეთისმშობელია დახატული, აქეთ იქით ღირსნი და სამი ბურჯი წარწერა აქვს: მკალობელნი შობისა შენისანი შეგასხამთ შენ ყოველნი ვითარცა სულიერსა ტაძარსა.

33) ღეთისმშობელი მჯდომარეა ნახევრად ხელ გაპყრობილი ძირს ღირსნი მაში არიან. წარწერა აქვს: ზი ყოელად საგალობელო დედაო ღეთისაო.

34) წმიდა ელია, ხელში უჭირავს ქარტა ბერძულის წარწერით.

35) იესო ქრისტე ემბაზში ნახევრად ხელგაშლილი.

36) წმიდა იოანე ოქროპირი.

37) წმიდანი კვირიაკე და ივლიტა, კვირიაკეს სისხლიან შუბლზედ თითი მიუღვია და მალლა იყურება.

38) ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა.

39) იოანე დამასკელი.

40) მოციქულნი პეტრე და პავლე.

41) იოანე მოწყალე.

42) მახარებელი ლუკა.

43) წმიდა არტემ თესალონიკელი.

44) წმიდა ვასილ დიდი.

45) წმიდა ანტიპა.

46. წმიდა ნესტორი.

47. წმიდა პირველ მოწამე სტეფანე.

48. წმიდა მეთოდი.

49. წმიდა მარინე.

50. წმიდა იოანე მახარებელი.

51. მიძინება. იესო ქრისტე ხელშეკრულია და სისხლი სდის.

52. ნათლის მცემლის თავის კვეთა, ხელში ქარტა ბერძული (უჭირავს).

53. იესო ქრისტე ბარძიში ხელგაპყრობილი.

54. წმიდა იოსებ ბარაკლიტონის მწერალი.

55. მათე მახარებელი.

56. მიიღეთ და სჭამეთ. ქრისტე პეტრე მოციქულს აძლევს ხორცსა თვისსა.

57. მარკოზ მახარებელი.

58. წმიდა ათანასე.

59. სუთ ამისგან. ქრისტე პეტრეს ასმევს სასმიდგან.

60. იესო ქრისტე და სამართელი დედაკაცი. იესო ზის. შუაში ქაა. სამართელი გაკვირვებით ესაუბრება.

61) იესო ქრისტე და მარიამ მაკდალინელი. მარიამი დანოქილი ეტანება იესო ქრისტეს სამოსლის ფესვსა, ხოლო იგი, აკურთხევს.

62) წმიდა გრიგოლ დიოლოლ.

63. წმიდა ნიკოლოზი. მარჯენიე იესო ქრისტე და მარტინე დედა ღვთისა, წარწერთ: მატრი თეუ.

64) წმიდა მოდესტი.

65) წმიდა დიონისი არიოპაგელი.

66) წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი.

67. ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის შობა.

68. წმიდა იოანეს შობა.

ამ წიგნს აკლია თავი და ბოლო. ეს მხატვრობა მშვენიერი ვარაყით არის დახატული.

მხატვრობის შემდეგ ზიარების ლოცვები არის დასრულებული. ცალკე გვერდზედ აწერია: დიდება ღმერთსა ყოვლისა კეთილისა წარმათებელსა, რომლისა შუენენითა აღვაწერინე დაუჯდომელის წიგნი ესე მისის შედეგებით და ზიარების ლოცენითა. შევაძკვე და დავახატინე მე ამილახორის ძემან კათოლიკოსმან პატრონმან ნიკოლოზ, ცოდვთა ჩვენთა შესანდობელად, დღეთა ჩვენთა წარსამართებლად, მეფობასა პატრონის გიორგისსა ქორონიკოს ტათ (1681). ხელითა მიქელისათა. ღმერთო შემიწყალე ფრიად ცოდვილი მიქელი.

1. ღრამატია გაიოზისა ხუცუყრად დაბეჭდილი. 143 გვერდი აქვს.

2) სითიკოსობა მხედრული ყდაში.

3) მეტაფიზიკა მეოთხედ ლურჯს თაბახზედ. ზოლოს აწერია: აღიწერა ხელითა დიკასტრიის მწერალ მწიგნობრის ანდის — ხატის დეკანოზის დიმიტრისათა. წელსა ჩშბ. თთვესა მარტსა კ.

4) ქება, დიდება, შესხმა და გალობა ყდელად წმიდისა უზრუნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა. უწყება უბიწოებისა და სანატრელისა მოქალაქეობისა მისისა შობიდან მიცვალბულებამდე ლურჯს ქალაღზედ.

5) წიგნი წარწერთ: პირველი განსჯა არის მისთვისა, რათამცა ესცნათ და გულის ხმა ეპყოთ, რაა არს დასრულებადი და რაა არს დაუსრულებელი.

6. მიხითარ ყოვლად ბრძნისა მოძღვრისა სომეხსა სევასტიელისა.

7, მახრნი ჟანქაკრუხოსანი სხვა და სხვათა საგანთათვის. ფრანგულიდან გაღმოდებულია პეტრე ანდრიევისაგან, ხოლო რუსულიდამ ქართულსა ენასა ზედა საქართველოს მეფის ირაკლის ძის ფარნაოზისაგან.

8. ანტონის ღრამატია მხედრული თაბახად. პირველ ფურცელზედ აწერია: წელი დასაბამიდგან სოფლისა 7275, ხოლო განხორციელებიდან სიტყვისა ღვთისასა 1767, თთუშსა მეათერთმეტსა რიცხვსა 20.

9. სამი ტომი: დასაბამითნი საფუძველნი მცნობელობითისა ფისიკოსანი. ქმნილება უფლისა ბრისონისა პარიეელისა, სწავლათა აკადემიის წევრისა სრულებით 2621 მუხლი.

10. მართლ-მადიდებლობითი მოძღვრება ანუ

შემოკლებული საქრისტიანო ღვთის-მეტყველება, რუსულით ქართულსა ენასა ზედა ვადმოლებული არხიმანდრიტის რეკტორის გაიოზის მიერ სამეფუო ქალაქს ტუილისს 1781, ბოლოს აწერია: ერისთავის ძის იოანესი არის. ღმერთმან ახმაროს კეთილ-დღეობით. იკორთის მონასტრის მღვდელმა დიმიტრი ოქროაშვილმა აღესწერე მისის 8, ქორონიკონს შშთ (1811).

11) ნაწილი პირველი. საგამოცდილებო პსინო-ლოლია ანუ დამცველობითი სულ მეტყველება ნათხზი უ. სნტლესი. ბოლოს აწერია ზ. V. II.

12. ფრიდრიხოს ხრისტიანეს ბაუმფისტერისა გორლი ციურის ღიმნაზიის რეკტორისა, დასა-ბამნი ფილოსოფიის აქლასა 1263. ქართულსა ხმასა ზედა ვადმოლებით შრომილი ანტონის მიერ არხიე-პისკოპოსისა. ბოლოს აწერია: გამართულ იქმნა მეჯგვის ხეცს წელსა 1811 ფებერელის 17.

13. ფილოსოფია ყოუაქცევათა მოძღვრებისა.

14. ხელმძღვანელობა ფასიკისადმი.

15. ფისიკა ანტონისა.

16. კატელორია ანტონისა. ბოლოს აწერია: სრულ იქმნა მონასტრისა ნათლისმცემლისა, მრავალ მთას წელსა ჩღპ. ხელითა ფრიად უღირსის დიაკონის გაიოზისათა.

17 სიმეტნეი ანტონისა. ბოლოს აწერია:

17 ⁴/₂₅ 69 სრულ იქმნა გაბრიელისაგან.

18. ხმარებისათვის ლოლიკისა. ნაწილი მეორე.

19. ლოლიკა აბბა კონდილიაკუსა, მირთმეული მეფის ძის ანტონისაგან თელავს სემინარიის რეკტორის ალექსის ძეს დავითისათვის.

20. წიგნი პირველი წყობილ სიტყუობა ხუთ-ტაბოვანთა სტიხთა ანუ შაირთა, ქმნილი გაიოსის მიერ არხიეპისკოპოსისა.

21. ექვსთა დღეთა შესაქმისი, თაბახიანი.

22. წმიდის მოწამის გიორგის ცხოვრება.

23. წმიდის სილიბისტროს ცხოვრება.

24. კუნთა-კურცია, შეიცავს ათს წიგნს.

25. მანანა.

26. თთენი ხუცურად ნაწერი.

27. წმიდა ნინას ცხოვრება.

28. ორი წიგნი იოანე დამასკელისა, დაბეჭდილი 1744 წ.

მღვდელი მ. ხელაშვილი.

(შემდეგი იქნება).

რედაქციის პასუხი.

ქ. პეტროვსკს. მღვ. ი. შ — ძეს. დიდის სიამოვნებით ვასრულებთ პეტროვსკის სატუსალოს პატიმართა სურვილს. გამოგვგზავნეთ ჩვენი გამოცემები ყველა და სხვა მათთვის სასარგებლო საკითხავი წიგნებით. ეწლათქვენ იცით, როგორ უნელმძღვანელებთ...

კ ა ლ ხ ი დ ე ლ ს. თქვენი სიხმარი არ იბეჭდება.

შმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება“ თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება ყუხლაჯს

1., თანხას შეიღებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინიცაბა დამზღვევი გარდაიცვალა.

2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება სამზითოდ.

4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა... უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. ბრუზენბერგი. შოსტის და დეპეშის აღრესი: Гру-зенбергу Тифлисъ.

(15—12)